

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს სხდომის

ოქმი N 5

ქ.თელავი

2016 წლის „20“ აპრილი

თავმჯდომარეობდა : თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს თავმჯდომარე გ.სეხნიაშვილი
სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები : მათა ნაცვლიშვილი, გიორგი აივაზაშვილი.

დღის წესრიგი


1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის შესრულების
ანგარიში მომხს.გ.სეხნიაშვილი

2. მოისმინეს: 1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის
შესრულების ანგარიში მომხს.გ.სეხნიაშვილი.

აზრი გამოთქვას: მ.ნაცვლიშვილმა, გ.აივაზაშვილმა.
გიორგი აივაზაშვილმა დამსწრეებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის
შესრულების წლიური ანგარიში. დარჩენილია პატარა ხარვეზები, რომლებიც
ექვემდებარება შესწორებას
მათა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა თუ ყველა მაჟორიტარი დეპუტატი
აქტიურ მონაწილეებს მიიღებდა ანგარიშის განხილვაში.
ფრაქციის წევრებმა ანგარიში დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს.

დაადგინეს: გელა სეხნიაშვილი უახლოეს ბიუროს სხდომაზე შენიშვნებს წარუდგენს
გამგეობის წარმომადგენლებს

ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს თავმჯდომარე


გ.სეხნიაშვილი


თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს 2016 წლის 25 აპრილის სხდომის

დასკვნა

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიშის შესახებ

საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებები ფაქტობრივად შესრულდა, რის გამოც ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილი ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცებას.

ფრაქციის თავმჯდომარე:



გ.სენიაშვილი